საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 1623 2024 წლის 11 ნოემბერი ქ. თბილისი

„საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 12 იანვრის №36 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 12 იანვრის №36 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს გამოუყოს 485 312 (ოთხას ოთხმოცდახუთი ათას სამას თორმეტი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი, მათ შორის:

ა) ლობისტური მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით „ჩართველ სთრათეჯი გრუფთან (The Chartwell Strategy Group, LLC)“ გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების დასაფინანსებლად – 480 000 (ოთხას ოთხმოცი ათასი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი;

ბ) „ჩართველ სთრათეჯი გრუფთან (The Chartwell Strategy Group, LLC)“ გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით, ქალაქ ნიუ-იორკში „ჩართველ სთრათეჯი გრუფის (The Chartwell Strategy Group, LLC)“ წარმომადგენლების სამივლინებო ხარჯების ანაზღაურების დასაფინანსებლად – 5 312 (ხუთი ათას სამას თორმეტი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი.“.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე